ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6190508

ნომერი: AR1923589

თარიღი : 04.10.2022

გაცემის თარიღი : 02.11.2022

გაცნობის თარიღი : 05.11.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , ბოლოში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჯაფარიძე პ/ნ 01017005727
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 52ბ

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 5963488
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 6.01.2022

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თეიმურაზ ჯაფარიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "არქიტექტურა, კონსტრუქციები - აკო"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205040356

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ჯი ემ ბილდინგი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406161166
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მინდორაშვუილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 13001007067

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 4609.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 907.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1538.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 126.5
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 1263.3
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 87.9
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 60.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8271.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5192.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3078.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.32
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.57
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.75
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 907; კ1=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1483.6; კ2=0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 922.0; კ3=0.2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა პროექტი (PDF ვერსია) და შესაბამისი საექსპერტო შეფასება.
განგიმარტავთ: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და

რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს.
ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.
კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:
ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);
ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;
გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.

წარმოადგინეთ კონსტრუქციული სქემა/პროექტის საექსპერტო შეფასება. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 7 წლიანი სამუშაო გამოცდილება)

2. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით. შესრულდეს აღნიშნული პირობა.

3. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აეროდრომის რაიონში. საქართველოს საჰაერო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ.შესაბამისად, საჭიროა წარმოადგინოთ აეროდრომის ექსპლუატანტის შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს თანხმობა.

4.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები. -> .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: ველი ჩამოყალიბდეს: 01.06.2022

5.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:
· წარმოდგენილ იქნას კვალიფიციურად შესრულებული საპროექტო გენ.გეგმა. გენ.გეგმა უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს, ღერძების ხაზებს, გაბარიტულ და ღერძულა ზომებს, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების გრუნტთან მიბმის მონაცემებს/ნიშნულებს.
· გენ.გეგმა დამუშავდეს შეტანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზეის სქემის გათვალისიწინებით.
· გენ.გეგმაზე, სახურავის გეგმაზე დატანილ იქნას ყველა განსხვავებული გადახურვის ნიშნული, ატმოსფერული ნალექების გადასვლის მაჩვენებლები, საკადასტრო საზრვრებამდე შენობის მიბმის მანძილები.

6.განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.:
განიმარტოს შენობიი მოპირკეთების თაობაზე, კერძოდ: შერჩეული მასალებისა და ფერების შესახებ.

7.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: გადამოწმდება შესაბამისი კროკების წარმოდგენის შემდეგ.

8. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .საერთო ფართობი (კვ.მ).: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად: სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა, შახტებისა და კოლონების ფართობის გარეშე. ფართები შესწორდეს დადგენილი ხარვეზების შესაბამისად.

9.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
ველი დარჩეს ცარიელი.

10.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
წარმოდგენილ იქნას შესაბამისი კროკი.

11.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
· იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი გეგმები.
· დატანილ იქნას ღერძულა, გაბარიტული და დეტალური ზომები.
· კიბის უჯრედებზე დატანილ იქნას მიმართულების მაჩვენებელი.
· დატამნილ იქნას საავტომობილო პანდუსი დეტალური მონაცემები (სიგრძე, სავალი გზის სიგანე, გარდატეხის ნიშნულები, მოხვევის რადიუსი, დახრის პროცენტულობა).
· დატანილ იქნას სრულყოფილი შიდა ზომები.
· გეგმებზე ჩაიხაზოს სრულყოფილი სახით ფართებში განსათავსებელი ავეჯი, დატანილ იქნას შესაბამისი სავალი მანძლები ავეჯის გათვალისწინებით.
· მისაწვდომო სვლაგეზი დატანილ იქნას ტერიტორიის ნაწილზეც (მიწის ნაკვეთზე შემსასვლე არეალამდე), და მითითებულ იქნას სავლაგეზის შესაბამისი სიგანეები. განიმარტოს შენობის გარეთ გათვალისწინებული სვლაგეზის ქვეშ არსებული მოპირკეთების შესახებ.
· წარმოდგენი იქნას კიბის უჯრედისა და ლიფტის დეტალის სრულყოფილი ნახაზები, სრულყოფილი ზმებისა და სიმაღეების მითითებით.
· დატანილ იქნას საანგარიშო ფართები ექსპლიკაციის სახით.
· ატვირთულ იქნას ანალიზის ცხრილები და პირობით აღნიშვნების ფურცელი.
· სრულყოფილი დოკუმენატციის წარმდგენის შემდეგ საკითხი გადაგზავნილ იქნება საგანგეო სიტუაციების მართვის სამსახურში.

12.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.:
· დატანილ იქნას საკადასტრო საზრვრები და მიბმის მანძილები.
· წარმოდგენილ იქნას ჭერილი საავტომობილო პანდუსის ჩვენებით. შესაბამისი გარდატეხის ნიშნულების, სიმაღლეების, მანძილებისა და დახრის პროცენტულობის მითითებით.

13.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
· ფასადები საჭიროა წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი სახით.
· საპროექტო ფასადები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
· გაბარიტული და ღერძულა ზომები, საკადასტრო საზღვრები და შესაბამისი მიბმის მანძილები. სართულებისა და არქიტექტურული ნაწილების მიხედვით ნიშნულები, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებაში ჩვენებით. შენიშვნა: შენობა-ნაგებობის ფასადის ნახაზზე უნდა აისახოს ფასადზე განთავსებული ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალის ზომები.
· წარმოადგინეთ ფასადების დეტალური პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე კედლების საფარის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების ნახაზებს (ცალკეული კვანძების დეტალური ნახაზებს).
· წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია
· წარმოდგენილ იქნას საპროექტო ღობის განშლა სრულყოფილი ზომების მითითებით (შესაბამისი კედლების ნუმერაცია მონიშნულ იქნას გენ.გეგმაზე).

14.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.:
მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით:
ტოპოგრაფიულ ძირზე დამუშვებული გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილ(ებ)ი;

15.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
წარმოდგენილ იქნას შენობის განაშენიანების (ყველა სართულის განაშენიანების) და კ-2 კოეფიციენტების საანგარიშო

კროკები.

16. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .სპეციალისტის სახელი და გვარი.:
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე 3 მუხლის შესაბამისად, სანებართვო დოკუმენტაციის შემდგენ პირს არა აქვს უფლება განახორციელოს მის მიერ მომზადებული/დამოწმებული პროექტის ექსპერტიზა. აღნიშნული ვრცელდება ასევე ურთერთდამოკიდებულ პირებზე, მათ შორის ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განიმარტოს, პროექტის ავტორი და ექსპერტი წარმოადგენენ თუ არა ურთიერთდაკავშირებულ პირებს და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოთ სხვა პირის მიერ მომზადებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასება.

17. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::
- განიმარტოს -5.00 ნიშნულზე მოწყობილი საავტომობილო პანდუსის თაობაზე.
- განიმარტოს საინჟინრო გაყვნილობების წესებთან შესაბამისობის თაობაზე.

18.. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი -> გამწვანების პროექტის pdf ფაილი:
გადაგზავნილია გარემოსა დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილის ნომერი გეცნობებათ დამატებით) პასუხი გეცნობებათ დანართის სახით.

19.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
- ველში ატვირტულ იქნას მხოლოდ მშენებლობის ორგანიზების პროექტი.
- ტექსტური ნაწილის შესაბამისად მშენებლობა გაწერილია 24 თვით, ხოლო კალენდარული გრაფიკი შევსებული 22 თვეზე.
- ასევე გაითვალისიწნეთ, რომ მესამე კლასის ობიექტებისთვის დაუშვებელია პირველი და მეორე რიგის სამუშაოების ჯამური რაოდენობა აღემატებოდეს 10-ს.
- მე-3 კლასის ობიექტებისთვის განსაზღვრულია მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 ეტაპი.
- მშენებლობის ორგანილების პროექტი მოყვანილ იქნას კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებტან შესაბამისაობაში და დამუშავდეს 255-ე დადგენილების მე-18 და მე20 მუხლების შესაბამისად.

- განიმარტოს გენ.გეგმაზე მომიჯნავე მიწი ნაკვეთთან მოწყობილ საერთი ჭიშკრის შესახებ (საჭიროებისამებრ ამღებულ იქნას დკუმენტაციიდან.

20. დაუშვებელია საინჟინრო გაყვანილობები კვეთდეს გზა-კიბეებსა და პანდუსებს (აღნიშნულთან დაიკავშირებით დამატებით განმარტება წარმოდგენილ იქნას 41-ე დადგენილებით დანტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისაობის დასკვნაშიც).

21. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევა და საექსპერტო შეფასება.
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში მინიმუმ უნდა აისახოს:
ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;
ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.
- წარმოადგინეთ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

22. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი გადამოწმდება კ-2 საანგარიშო ფართის დაზუსტების შემდეგ.

23. წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს სს " საქართველოს ბანკის" რეგისტრირებული წესდების შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ან თან ახლდეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ასევე, გაითვალისწინეთ, წარმოდგენილი მინდობილობა ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ამ თარიღის შემდეგ ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების შემთხვევაში, საჭირო იქნება განახლებული მინდობილობის წარმოდგენა.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.